ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
N15

ქ. თბილისი 08 თებერვალი 2023 წელი

ერთი მხრივ (შემსყიდველი): შპს „რეგიონული
ჯანდაცვის ცენტრი“
წარმოდგენილი:დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი გიორგი აბაიაძის სახით
საიდენტიფიკაციო კოდი: 236 035 517
მისამართი:ქ. თბილისი,მ.ასათიანის ქ.№9
მიმღები: სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა.ა GE86LB0113112241617000

მეორე მხრივ (მიმწოდებელი):შპს "მატრიქსი"
წარმოდგენილი: დავით ხარებავა
საიდენტიფიკაციო კოდი: 435432970
მისამართი: ქ. თბილისი, ვანის ქ. # 5
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: ს/ს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი:TBCBGE22
IBAN: GE95TB7859436020100005

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის $ს^1$ ქვეპუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ასევე ყველა იმ დოკუმენტით რომლებზედაც წინამდებარე ხელშეკრულებაში არის მინიშნება;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- გარე სარეკალმო აბრის (განათებით, მონტაჟით) შესყიდვა;
- CPV კოდი: **44423450** - სახელიანი ფირფიტები;

2.2 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და აღწერილობა განისაზღვრება დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით;

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

3.3 შესყიდვის ობიექტის ფასი მოცემულია დანართი №1-ში (ფასების ცხრილი), რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, მისამართზე: დაბა ბაკურიანი, კობა წაქაძის ქ.N4 (შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“).

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

5.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

5.1.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშ-ფაქტურის

(კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდანარაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.3 დაფინანსების წყარო: შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ 2023 წლის საკუთარი შემოსავალი.
5.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ლოჯისტიკის სამსახური.
6.2 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
6.4 შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდების კონტროლს ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით - შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კვლევა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.
7.2 მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება საქონლის მოწოდების შემდეგ, ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.
7.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამსონ ბასიშვილი
7.4 მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ...

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 1%-ის ოდენობით.
8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო, შეუსრულებელი (არაჯეროვნად შესრულებული) ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.5 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეუსრულებელია, შემსყიდველს უფლება აქვს, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.6 მიმწოდებლის მხრიდან, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების 10 (ათი) დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.8 მხარეები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

9. მხარეთა ვალდებულებანი

9.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
9.1.1 გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
9.1.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო, არ აღენიშნება მექანიკური ან/და სხვა სახის დაზიანებები. ასევე საქონელი იქნება სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში. ასევე, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდული საქონელი მისი ექპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს. ამასთან, იგი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და იქნება მიწოდებული სათანადო მდგომარეობაში, არ იქნება დაზიანებული, ხოლო წარწერები საქონელსა და ეტიკეტებზე იქნება კითხვადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9.1.3 საქონლის მიწოდების შემდეგ, მისი გამოყენებისას ხარვეზის ან/და გაუმართავობის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, აღმოფხვრას გაუმართავობა, შეაკეთოს ან/და გამოცვალოს დაზიანებული ნაწილი ახლით ან ჩაანაცვლოს ახალი საქონლით.
9.1.4 მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებულ მისამართ(ებ)ზე, განრიგის გათვალისწინებით, შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის მქონე საქონელი;
9.1.5 დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
9.1.6 დროულად დაადასტუროს საქონლის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით გასაფორმებელი დოკუმენტ(ებ)ი;

9.1.7 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შეუფერხებლად მიწოდება;
9.1.8 დროულად განიხილოს ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილი პრობლემები და მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად;
9.1.10 სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.
9.1.11 იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებს საქონლის მიწოდებას დროულად, გულისყურით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, აცნობოს მას შეფერხების მიზეზი და შექმნილი პრობლემის აღმოფხვრის საბოლოო ვადა.
9.1.12 მჭიდროდ ითანამშრომლოს შემსყიდველთან საქონლის მიწოდების განრიგის, სიხშირის, მიწოდების ადგილისა და თითოეულ მისამართზე მისაწოდებელი პროდუქტის რაოდენობის დაზუსტების მიზნით.
9.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
9.2.1 უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
9.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
9.3.1 მოითხოვოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების მიხედვით.
9.4 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
9.4.1 აწარმოოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის და რაოდენობის კონტროლი.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით;
10.4 თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით;
10.5თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.7 ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულებით, რაც არ საჭიროებს დამატებით შეთანხმებას.
10.8 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
10.9 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.10 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.11 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

11. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

11.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი);
11.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი

დოკუმენტაცია. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით;
11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

12. გარანტია
12.1. მოწოდებულ საქონელს უნდა გააჩნდეს ვარგისიანობის ვადა მოწოდების მომენტიდან არანაკლებ 12(თორმეტი) თვე.
12.2. საქონლის მიღებიდან, რაც დადასტურდება შესაბამისი აქტით, ერთი თვის ვადაში საქონლის პარტიის ან/და ცალკეული პოზიციის წუნდების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წუნდებული საქონელი ან/და ცალკეული პოზიცია, შეცვალოს 10 კალენდარული დღის ვადაში, შემსყიდველის მიერ დამატებითი ხარჯების გარეშე.
12.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 12.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების სრულად ანაზღაურება

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
13.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
13.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს: საგარანტიო მომსახურების ნაწილში - ხელშეკრულების 12.1 ქვეპუნქტის შესაბამისად; ხელშეკრულების მე-8 მუხლი მოქმედებს ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე, ხოლო ყველა სხვა ნაწილში ხელშეკრულება მოქმედებს 2023 წლის 24 მარტის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“	შპს "მატრიქსი"
ს/კ: 236 035 517	ს/კ 435432970
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი
გიორგი აბაიაძე	**დავით ხარებავა**

Giorgi Abaiadze
Digitally signed by Giorgi Abaiadze
Date: 2023.02.08 17:16:00 +04'00'

დანართი N1

#	შესყიდვის ობიეტის დასახელება	მახასიათებელი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა
1	გარე სარეკალმო აბრა განათებით, მონტაჟით (ბაკურიანი)	შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე, დიოდური ნათებით;1.2. საინფორმაციო წარწერა (აბრა) ქართულად (შ.პ.ს. რეგიონულიჯანდაცვის ცენტრი) და ლოგო;1.3 საინფორმაციო აბრის, გაბარიტებია 3350 მმ * 1000 * 50მმ1.4. ქართული წარწერიასოს სიმაღლე - 120 მმ, რომელიც განთავსებული იქნება ორ სტრიქონად.ლოგოს ზომებია -630მმ * 830მმ;1.5. ფასადიწარმოადგენს ორგმინაზე შესრულებულ ცისფერ წარწერას, თეთრფონზე (თან დართული ნახაზის იდენტურად).ბორტის მასალა - 20 მმ პვქ - გადაკრული თეთრი თვითწებადი ფირი,განათება დიოდური ნათურები;1.6. ფერები დაზუსტდეს შემსყიდველთან შეთანხმებით.	ცალი	1	3 500	3 500	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5(ხუთი) დღეში, მის: დაბა ბაკურიანი, კობა წაქაძის ქ.N4 (შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“).
	ჯამი					**3500**	

შემსყიდველი:

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“

ს/კ: 236 035 517

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი აბაიაძე

მიმწოდებელი:

შპს "მატრიქსი"

ს/კ 435432970

დირექტორი

დავით ხარებავა